PDF Compressor Free Version

ხელშეკრულება №3/101

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი " 9 " 12 2016 წელი

79960000 - ფოტოგრაფიული და დამატებითი მომსახურებები

საფუძველი: საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავალი

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობა:
„ხელშეკრულება" – "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
„დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
„შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ააიპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის (შემდგომში „შემსყიდველი") სამხატვრო ხელმძღვანელის ამირან შალიკაშვილის სახით (მისამართი: თბილისი, ცხრა აპრილის პარკი №9, ს.კ. 404427937)

მეორეს მხრივ, ფ/პ სანდრო ქერაული პ/ნ 01017052986

2. ხელშეკრულების საგანი:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2016 წლის 9,10 დეკემბრის პრემიერის (სპექტაკლი ვეფხისტყაოსანი) ფოტო გადაღება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300(სამასი)ლარი;

3.2. ხელშეკრლების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

PDF Compressor Free Version

4.2. მიმწოდებელთან ბუღალტრული ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან ანგარიშფაქტურის საფუძველზე 10 საბანკო დღის განმავლობაში;

5. სტანდარტები, ვადები:

დამზადებული მასალის მიწოდება განხორციელდეს ა/წლის 30 ნოემბრამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიმწოდებლის გაწეული მუშაობის შესაბამისად, აგრეთვე ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედდებულის ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის (ეტაპის) შესახებ წუნდების მიზეზის მითითებით.

7. მხარეთა უფლება – მოვალეობები:

შემსყიდველს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრლების შესრულების პირობების შესრულებაზე;
- შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვის შემსყიდველს შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

მიმწოდებელი ვალდებულია:
- შემსყიდველს გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა:

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე;

8.2. ხელშეკრულება ძალაშია 31,01,2017

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება:

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
9.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან/და დამატების აუცილებლობა, ცვლილებების

PDF Compressor Free Version

შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს- მაჟორი

1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა:

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროის დადგომიდან მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე;

2. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

- მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს მთლიანი მომსახურება;
- ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

<u>შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:</u>

- მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- საქაროველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქაროველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

PDF Compressor Free Version

ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს.

ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხრისთვის.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ააიპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ს.კ. 404427937 სამხატვრო ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი	GE10BR0000010696154543 სანდრო ქერაული